# 2017

# წლიური ანგარიში

CSRDG

საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

+995 32 239 90 19/18

www.csrdg.ge

office@csrdg.ge

# ჩვენ შესახებ

**ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“**

საქმიანობის სფერო - სამოქალაქო ორგანიზაცია

1995 წელს ქართული საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნება, თუმცა თვლიდნენ, რომ სწორედ ამ ფორმით არის შესაძლებელი მოსახლეობისთვის სასარგებლო საქმიანობის გაწევა.

ამ იდეით, 1995 წლის ივლისში, დავაფუძნეთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია **„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG).** დაარსების დღიდან, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე  მთელს საზოგადოებას.


**საკონტაქტო ინფორმაცია:**

ტელ: (+995 32) 2 39 90 19/18
ელ. მისამართი: office@csrdg.ge
ვებ გვერდი: www.csrdg.ge

## ეკა ურუშაძე

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
აღმასრულებელი დირექტორი

ძვირფასო მკითხველო,

ჩვენთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა. მოცემულ დოკუმენტში ასახულია ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ყოველწლიურად წარედგინება საზოგადოებას. ჩვენი პასუხისმგებლობაა დაინტერესებული მხარეების წინაშე ვიყოთ გამჭვირვალე და გაგაცნოთ ქვეყნის ეკონიმიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებაში ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან შეტანილი დადებითი წვლილი.

2015 წელს გაერომ შეიმუშავა მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და დაისახა 17 მიზანი, რომელთა მიღწევაც 2030 წლისთვის არის დაგეგმილი. ამასთანავე, გლობალური შეთანხმების მიერ ჩამოყალიბდა ათი უნივერსალური პრინციპი, მათში მოცემულია შემდეგი მნიშვნელოვანი თემები: ადამიანის უფლებების დაცვა, შრომითი უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა. აღნიშნული ანგარიშით CSRDG საკუთარი დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების წინაშე ადასტურებს გლობალური შეთანხმების პრინციპების უწყვეტ მხარდაჭერას. ჩვენი ყოველდღიური საქმიანობით, როგორც სამოქალაქო სექტორის წამომადგენლები, ჩვენ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

ასევე, ვადასტურებთ მზაობას ვითანამშრომლოთ გლობალურ შეთანხმებასთან და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მივიღოთ მის აქტივობებსა და ღონისძიებებში, ჩავერთოთ პარტნიორულ პროექტებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში განვიხილავთ გლობალური შეთანხმების ინიციატივაში ჩართული სხვა კომპანიების წლიურ ანგარიშებს (Communications on Progress).

2007 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია მიერთებულია გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას, ხოლო 2010 წლიდან CSRDG არის ”ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (Global Reporting Initiative /GRI) ორგანიზაციული მხარდამჭერი.

*”ანგარიშგების გლობალური ინიციატივა” წარმოადგენს საერთაშორისო ქსელურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების უნივერსალური ფორმატის შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება.*

წინამდებარე ინტეგრირებულ ანგარიშში გაერთიანებულია ორგანიზაციის წლიური პროგრამული ანგარიში და გლობალური შეთანხმების ანგარიში, მიღწეული შედეგების შესახებ (Communication on Engagement). ანგარიში ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ ვუწყობთ ხელს ჩვენი საქმიანობით გლობალური შეთანხმების პრინციპების განხორციელებას და როგორ ვაფასებთ მიღწეულ შედეგებს.

UN GLOBAL COMPACT
COMMUNICATION ON PROGRESS

This is our **Communication on Progress** in implementing the principles of the **United Nations Global Compact** and supporting broader UN goals.

We welcome feedback on its contents.

გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მაშტაბურ გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. ის ეფუძნება ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას განახორციელონ მდგრადი განვითარების უნივერსალური პრინციპები და მხარი დაუჭირონ გაეროს მიზნების განხორციელებას.

2017 წელს ორგანიზაცია ძირითადი პროგრამის ფარგლებში მუშაობდა სამი მსხვილი მიმართულებით: სამოქალაქო სექტორის განვითარება, ღია მმართველობის ხელშეწყობა, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა. ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: თემის განვითარება, სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების ინიციატივა, კარგი მმართველობა, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა, სოციალური მეწარმეობის, კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამები. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ჩვენ 2017 წელს ჩავატარეთ 14 მსხვილი ღონისძიება, ამასთანავე ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ფორმატში წლის განმავლობაში ვითანამშრომლეთ სხვადასხვა სექტორთან.

2017 წელს CSRDG ახორციელებდა 19 მიმდინარე პროექტს, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაციაა მოცემულია ანგარიშში, თუმცა აქვე ვეცდები მოკლედ შევაჯამო თითოეული მათგანი:

***ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა,*** რომლის მთავარი მიზანია მდგრადი განვითარების საკითხებში ბიზნესის/კერძო სექტორის ჩართულობის ზრდა, ადამიანის უფლებათა და შრომითი უფლებების დაცვა. კერძოდ, თანაბარი შესაძლებლობების, მოწყლვადი და ნაკლებად ინტეგრირებული ჯგუფების თვითრეალიზაცია და დასაქმება.

***სამოქალაქო სექტორის განვითარება*** **-** სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ისეთი საკითხების გარშემო როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხები.

***ღია მმართველობის ხელშეწყობა*** - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საქმიანობისა და ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგი, რომლის მეშვეობით ხელს ვუწყობთ კორუფციის შემთხვევების პრევენციას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას. რაც მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების და დემოკრატიული პრინციპების აღსრულების საწინდარია.

დასასრულს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ორგანიზაციის თანამშრომლებს, ჩვენს პარტნიორებსა და დაინტერესებულ მხარეებს, რომელთა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ანგარიშში აღწერილი საქმიანობების განხორცილება და დასახული მიზნების მიღწევა.

## მისია

საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

## ხედვა

**ჩვენ ხელს ვუწყობთ** ქვეყნის მდგრად განვითარებას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეყობის გზით.

## ფასეულობები

**ჩვენ პატივს ვცემთ**, თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

ჩვენი საქმიანობების არეალი მოიცავს მთელს საქართველოს, თუმცა ცალკეული პროგრამების ფარგლებში, ინტენსიურად ვმუშაობთ **აღმოსავლეთ საქართველოში** - დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, თელავისა და საგარეჯოს, ხოლო **დასავლეთ საქართველოში** - ოზურგეთის, ჩხოროწყუს, აბაშის, მარტვილის, ქედის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებში. სათავო ოფისი - ქალაქ თბილისში, რეგიონალური - ქალაქ თელავში. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ჩვენი გეოგრაფიული დაფარვის რუქა.



# სტრუქტურა

ჩვენი ორგანიზაციის სტრუქტურა და მენეჯმენტი იმგვარად არის შედგენილი, რომ უზრუნველყოს ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა ცალსახა გადანაწილება და რაც მთავარია, ყველა თანაშრომელის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.






| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|
| გრანტის სახით მიღებული შემოსავლები | 916080 | 1023277,1 | 1652249 | 1869035 | 3141491 |
| შემომწირველებისგან მიღებული თანხები | 813 | 6121 | 1053 | 7382 | 17700 |
| სხვა შემოსავლები | 6851 | 6506 | 16999 | 7897 | 1358 |
| ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი | 95 788 | 69183 | 110 894 | 50,990 | 49077 |
| ჯამი | 1 019 532 | 1105087 | 1 781 195 | 1 935 305 | 3 209 626 |

„ერთი დღე სოფლად“

თემის განვითარების პროგრამა

„მუნიციპალური ფინანსების მართვის სისტემის კვლევა“

კარგი მმართველობის პროგრამა

„ქართული სოციალური საწარმოები“

სოციალური მეწარმეობის პროგრამა

„სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი“

სოციალური მეწარმეობის პროგრამა

„სურსათის ეტიკეტირება“

მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

„როგორ შევარჩიოთ ხორცი“

მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

- სათემო ლიდერთა ფორუმი **2017**
- სოციალური მეწარმეობის ფორუმი **2017**
- B2B გამოფენა
- სტუდენტები სოციალური საწარმოების მხარდასაჭერად - დაჯილდოების ცერემონია
- საერთაშორისო კონფერენცია სოციალური მეწარმეობის შესახებ
- Ewa Konczal - Venture Philanthropy And Social Investments
- "მაღალმთიან დასახლებებში თვითმმართველობის განვითარება მეწარმეობის განვითარების მეშვეობით" - კვლევის პრეზენტაცია
- ჟურნალისტური კონკურსისა და მოსწავლეთა ესეების კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი
- ტრენინგი: როგორ შევიმუშაოთ კომპანიის CSR სტრატეგია;
- პრო ბონო მარათონი **2017**
- CSR და შრომითი სტანდარტები - ფორუმი **2017**
- ტრენინგი: კომპანია როგორც პასუხისმგებელი დამსაქმებელი;
- პრინტების კონკურსის დაჯილდოება: სტუდენტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის
- პრო ბონო ქსელის შეხვედრა **2017**

1. *პროექტი - „CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა“*

დონორი ორგანიზაცია - პური მსოფლიოსთვის/Brot für die Welt(BtW)

2. *პროექტი - "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა"*

დონორი ორგანიზაციები - ევროკავშირი/The European Union; გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო/Federal Ministry For Economic Cooperation and Development

3. *პროექტი - "ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის"*

დონორი ორგანიზაცია - გაეროს განვითარების პროგრამა/The United Nations Development Programme (UNDP);

4. *პროექტი - "ორგანული ნარჩენის წვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენის ხელმეორედ გამოყენების და გადამუშავების გზით"*

დონორი ორგანიზაცია - გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი/The Global Environment Facility (GEF);

5. *პროექტი - "ადგილოვბრივი თემების მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაზრდა ტერიტორიების კონსერვაციის საქმეში"*

დონორი ორგანიზაციები - გაეროს განვითარების პროგრამა/The United Nations Development Programme (UNDP), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი/ The Global Environment Facility (GEF);

6. *პროექტი - "სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში"*

დონორი ორგანიზაციები - ევროკავშირი/The European Union, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საქმეთა სამინისტრო/Ministry of Foriegn Affairs of the Czech Republic;

7. *პროექტი - "საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემების და მიკრო-მეწარმეების შესაძლებლობების გაზრდა"*

დონორი ორგანიზაციები - ელკანა, მსოფლიო ბანკი

8. *პროექტი - "საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება სოციალური სერვისების პოლიტიკის დიალოგში წვლილის შეტანისთვის საქართველოსა და უკრაინაში"*

დონორი ორგანიზაცია - არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი/Arbeiter-Samariter-Bund (ASB)

9. *პროექტი - „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“*

დონორი ორგანიზაცია - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა/The European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development (ENPARD)

19. *პროექტი - "გზა საზოგადოებაში დასაბრუნებლად"*

დონორი ორგანიზაცია - ევროკავშირი – The European Union;

20. *პროექტი - „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის"*

დონორი ორგანიზაციები - ევროკავშირი/The European Union; პური მსოფლიოსთვის/Brot für die Welt (BtW);

21. *პროექტი - „პრო ბონო სერვისების მიწოდების ხელშეწყობა ონლაინ პლატფორმის შექმნით"*

დონორი ორგანიზაცია - MitOst

22. *პროექტი - „დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის - როგორ გავხდეთ პასუხუსმგებელი დამსაქმებელი"*

დონორი ორგანიზაცია - ფრიდრიხ-ებერტის-ფონდი/Friedrich-Ebert-Stiftung (FES)

23. *პროექტი - „სამოქალაქო ჩართულობა ერთ კადრში"*

დონორი ორგანიზაცია - Die Bundeszentrale für politische Bildung

24. *პროექტი - „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა მომხმარებელზე და მათი ცნობიერების ამაღლება"*

დონორი ორგანიზაცია - ევროკავშირი/The European Union;

25. *პროექტი - "მაღალმთიან დასახლებებში თვითმმართველობის განვითარება მეწარმეობის განვითარების საშუალებით"*

დონორი ორგანიზაცია - ფრიდრიხ-ებერტის-ფონდი/Friedrich-Ebert-Stiftung (FES)

26. *პროექტი - "მოქალაქეები ღია და ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობისთვის"*

დონორი ორგანიზაცია - USAID

27. *პროექტი - "სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობისა და ჩართულობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ვიშეგრადის რეგიონში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებით"*

ორგანიზაციაში სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება არსებობს, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას და ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება პროგრამები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.



***სამოქალაქო სექტორის განვითარება*** ორგანიზაციაში მიმდინარე ერთ-ერთი პირველი სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ამოცანასაც, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საკუთარი მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების დაცვის და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების გაუმჯობესების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის განვითარების ქვეშ ***თემის განვითარებისა*** და ***საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების*** პროგრამები ერთიანდებიან.




***თემის განვითარება (სოფლის და თემის დონე)*** - თემში ინსტიტუციური, ადვოკატირებისა და რესურსების მობილიზების უნარების გაძლიერება, რათა თემის წევრებმა ადგილობრივ განვითარებაში შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

***საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება*** - ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შესთავაზონ უკეთესი სერვისი მიზნობრივ ჯგუფებს.

## თემის განვითარება

თემის განვითარების მიმართულებით **1998** წლიდან ვმუშაობთ. ჩვენი ძირითადი საქმიანობა რეგიონებში სამოქალაქო ინსტიტუტების ფორმირება და გაძლიერებაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი კი ადგილობრივი ლიდერებისა და საინიციატივო ჯგუფების დახმარებაა. მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, თავის მხრივ, ადგილობრივ დონეზე არსებული პოტენციალის უკეთ რეალიზებისა და პრობლემების ეფექტურად გადაჭრისათვის საუკეთესო გზას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოსახლეობას გაუუმჯობესდეს წვდომა არსებულ რესურსებზე და მან შეძლოს საკუთარი ინტერესების ეფექტურად დაცვა, შეძლოს ადგილობრივ მთავრობასთან და სხვა სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა. მთავარი აქცენტი პროგრამის ფარგლებში ქალებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებასა და მათი უნარების გაძლიერებაზე კეთდება.

**2017** წელს პროგრამის ფარგლებში ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს კახეთის, გურიის და სამეგრელოს 12 სამიზნე მუნიციპალიტეტის 32 თემში. სათემო ორგანიზაციებთან მუშაობისას აქტიურად გვეხმარებიან რეგიონული პარტნიორები, რადგან ჩვენი მუშაობა ქსელურ კოალიციურ პრინციპებზეა დაფუძნებული. ჩვენი პარტნიორები რეგიონებში არიან - ორგანიზაცია საგა (საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია)/ლაგოდეხი, ათინათი/სამეგრელო და გურიის მედიატორთა ასოციაცია/გურია.

**2011** წლიდან CSRDG-ს ბაზაზე ამოქმედდა თემის განვითარების რესურსცენტრი, რომელიც საქართველოში მოქმედ სათემო ჯგუფებსა და ორგანიზაციებს მრავალმხრივ საინფორმაციო და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს, რაც სათემო ორგანიზაციებს ქსელური კავშირების გაღრმავებას უწყობს ხელს. რესურსცენტრის (CDRC) მეშვეობით მთელი საქართველოს მასშტაბით ვმუშაობთ. წელიწადში რამდენჯერმე ცხადდება საგრანტო კონკურსები.

## **2017** წელს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები

**2017** წელს თემის განვითარების პროგრამის ბაზაზე ხუთი მსხვილი პროექტი მიმდინარეობდა. პროექტების მიზნები თემის განვითარებასა და მისი სხვადასხვა კომპონენტების გაძლიერებისკენ იყო მიმართული. ეს პროექტებია:

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);
2. "ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის"- გაეროს განვითარების პროგრამა – The United Nations Development Programme (UNDP);
3. "ორგანული ნარჩენის წვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენის ხელმეორედ გამოყენებისა და გადამუშავების გზით"- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი – The Global Environment Facility (GEF);
4. ადგილობრივი თემების მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაზრდა ტერიტორიების კონსერვაციის საქმეში (გაეროს განვითარების პროგრამა – The United Nations Development Programme (UNDP), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი – The Global Environment Facility (GEF);
5. უდაბნოს და ლაგოდეხის სკვერების რეაბილიტაცია (პროექტის "საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემების და მიკრომეწარმეების გაძლიერება" ფარგლებში). ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა";
6. "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" - ევროკავშირი -The European Union.

## სათემო ორგანიზაციებისა და სათემო ჯგუფების მხარდაჭერა

სათემო ორგანიზაციებისა და სათემო ჯგუფების განვითარების მიზნით რეგულარულად ტარდება სხვადასხვა ტრენინგები, შეხვედრები და გაცვლითი ტურები. ამასთან ერთად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ხელი შევუწყოთ მათ მიერ სათემო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ცხადდება საგრანტო კონკურსი. შემოსული განაცხადების თემატიკა მრავალფეროვანია საგანმანათლებლო, გარემოს დაცვითი და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

***2017*** წელს გამოცხადა 4 საგრანტო კონკურსი, საგრანტო თანხა ერთი საპროექტო განაცხადისთვის 1000–დან 8000–მდე ლარს შეადგენდა. სულ დაფინანსდა 18 სათემო პროექტი. პროექტების ჯამურმა თანხამ 239 971 ლარი შეადგინა (ინფორმაცია დაფინანსებული პროექტების შესახებ იხილეთ დანართში).

***2017*** წლის განმავლობაში განხორციელდა სამი სასწავლო ხასიათის გაცვლითი ვიზიტი და სამუშაო შეხვედრა. გაცვლითი სასწავლო ვიზიტები სამიზნე სათემო ჯგუფებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და საქმიანობების კოორდინაციის მიზანს ემსახურება როგორც რეგიონის შიგნით, ასე რეგიონებს შორის (2 ტური კახეთის და სამეგრელოს რეგიონებში ახლადშექმნილ სათემო ჯგუფებსა და ძლიერ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, ხოლო ერთი რეგიონებს შორის გამოცდილების გაზიარება მიეძღვნა).

**გაცვლითი ტური კახეთში** - ივლისის თვეში განხორციელდება გაცვლითი ტური კახეთის რეგიონში განხორციელდა. ორი დღის განმავლობაში ახალდაფუძნებული 11 სათემო ჯგუფების წარმომადგენელი, მოქმედ 6 სათემო ორგანიზაციას ესტუმრა და მათგან მიიღეს პრაქტიკული რჩევები, ინფორმაცია მიმდინარე პროექტებისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

**გაცვლითი ტური სამეგრელოში** - სექტემბერში 11 ახალდაფუძნებული სათემო ცენტრის 14 წარმომადგენელი სამეგრელოს რეგიონში არსებულ 5 სათემო ორგანიზაციას ეწვია. მიზანი აქაც გამოცდილების გაცვლა და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება იყო.

**შიდა ტურები** - შიდა რეგიონული ტურის დროს 30-მა, სათემო ჯგუფის/ ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ჩხოროწყუს, დედოფლისწყაროს და ახმეტის მუნიციპალიტეტიდან, 7 ძლიერი სათემო ორგანიზაციისგან მიიღო ინფორმაცია არსებულ პროექტებზე, მათ გამოცდილებასა და მნიშვნელოვან გამოწვევებზე.

## **2017** წლის ერთობლივი ღონისძიებები და შეხვედრები

„სათემო ლიდერთა ფორუმი **2017**", 16-17 ნოემბერს, სასტუმროში „ამბასადორი კაჭრეთი"-ში, ჩატარდა  და გააერთიანა 70-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის 35 სათემო ორგანიზაცია და საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი. სათემო ლიდერთა ფორუმი 6 წელია ტარდება და ფორმატი წლიდან წლამდე იხვეწება და მასშტაბურ ხასიათს იღებს. 2016 წლიდან ფორუმზე სათავე დაედო საუკეთესო სათემო ინიციატივის გამოვლენისა და ამ ნომინაციაში გამარჯვებული ჯგუფის დაჯილდოებას.

შეხვედრის პირველ დღეს  პროექტის  „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის" შედეგები, სოფლის განვითარების სტრატეგია და სათემო ლიდერებისათვის ქვეყანაში არსებული შესაძლებლობები და დადებითი გამოცდილება განიხილეს. ღონისძიების მომხსენებლები იყვნენ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებიდან, ისე საერთაშორისო თუ საქართველოში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციებიდან.

ღონისძიების მეორე დღეს მონაწილე სათემო ორგანიზაციებს მიეცათ შესაძლებლობა ემუშავათ ერთობლივ სათემო ინიციატივებზე. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში, სათემო ორგანიზაციები გაერთიანდნენ მათთვის პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ. თითოეული ჯგუფი 3 საათის განმავლობაში ამზადებდა საპროექტო იდეის კონცეფციას, რომელიც დღის ბოლოს ჟიურის წევრებს წარუდგინეს.

კონკურსის შერჩევის კრიტერიუმები იყო: თემისთვის აქტუალური და ორიგინალური იდეა, განხორციელების გზების ეფექტურობა და რეალისტურობა.

საინიციატივო ჯგუფს, პროექტის განხორციელებისთვის ჯილდოდ გადაეცა 3000 ლარი. კონკურსის გამარჯვებული გახდა გუნდი „ეს ჩემი სამშობლოა", რომელმაც  გააერთიანა 3 მუნიციპალიტეტის 5 თემი. ერთობლივი სათემო ინიციატივის მიზანი, 3 მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ცნობიერების ამაღლებაა.

სათემო ჯგუფების ინიციატივით და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით **2017** წელს, **88** სხვადასხვა მასშტაბისა და სიმწვავის ადგილობრივი პრობლემა გადაიჭრა.

## ეკოკლუბები

როგორც ზევით აღვნიშნეთ პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით თემში ახალგაზრდული სათემო ჯგუფების ფორმირებას და გაძლიერებას, როგორც ტექნიკურ-ინფორმაციული კუთხით, ასევე ფინანსური მხარდაჭერით. ბოლო წლებში პროგრამას დაემატა გარემოსდაცვითი კომპონენტი, რაც სამიზნე თემებში ეკო-კლუბების ფორმირება-განვითარებას და გარემოსდაცვითი საკითხების პოპულარიზაციას მოიაზრებს.

***2017*** წელს ეკოკლუბებისთვის ჩატარებული ტრენინგები მიმართული იყო მათი უნარებისა და შესაძლებლობების გაზრდისკენ. ტრენინგების თემატიკა იყო - ნარჩენების მართვა, გარემოსდაცვითი სოციალური მეწარმეობა, პროექტების მომზადება.

## ჩემი, შენი, ჩვენი თემი - სტუდენტური კონკურსი

***2017*** წელს პირველად გამოცხადდა სტუდენტური კონკურსი „ჩემი, შენი, ჩვენი თემი“. კონკურსის მიზანი ქალაქად მცხოვრები ახალგაზრდების თემთან დაახლოება იყო. ახალგაზრდებში პასუხისმგებლობისა და სოლიდარობის გრძნობის ამაღლება, მათი ჩართვა თემში არსებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკურსი 2017 წელს პირველად გამოცხადდა და იგი ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.

### კონკურსის ეტაპები ასე განაწილდა:

წლევანდელ კონკურსში მონაწილეობა თბილისის სამი უმაღლესი სასწავლებლის 60 სტუდენტმა მიიღო. (თსუ - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მუშაობის მიმართულებით; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით; ჯიპა - ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით). მეორე ეტაპზე გადასული სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგები პროექტის წერაში, საკომუნიკაციო კამპანიების ორგანიზებასა და თვითმმართველობების კომპეტენციებში.

***2017*** წელს ორი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა, თითოეულ მათგანს პროექტის განხორციელებისთვის 900 ლარი გადაეცემა. პროექტების განხორციელება მათ მიერ იგეგმება 2018 წელს.

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

CSRDG

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ხელს ვუწყობთ საქართველოში სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას, ცნობადობის ამაღლებასა და საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით მუშაობა ***1998*** წლიდან დავიწყეთ.

მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუდმივად ვთავაზობთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც საშუალებას აძლევთ გაიუმჯობესონ ორგანიზაციის მართვის სისტემები, თავიანთ მიზნობრივ აუდიტორიას შესთავაზონ ხარისხიანი მომსახურება და რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყონ ორგანიზაციის ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობა.

***2017*** წელს სოციალური მუშაობის შესახებ კანონის შემუშავებაში ***CSRDG***-ი აქტიურად იყო ჩართული და აქტიურად მიიღო მონაწილეობა, სოციალური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების პროცესში.

## ***2017*** წელს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები

სხვადასხვა პროექტებში ჩართვა საშუალებას გვაძლევს ვიმუშაოთ მრავალი მიმართულებით და ხელი შევუწყოთ სოციალური მომსახურების განვითარებასა და, ზოგადად, სოციალური კეთილდღეობის შექმნას ქვეყანაში. შევიდეთ ახალ სამიზნე რაიონებში, გავაცნოთ მიმდინარე სიახლეები და დავნერგოთ თანამედროვე სტანდარტები.

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);

2. „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“ – დონორები: ევროკავშირი და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. პროექტის განმახორციელებლები: CSRDG და ფიფლ ინ ნიდ;

3. “საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება სოციალური სერვისების პოლიტიკის დიალოგში წვლილის შეტანისთვის საქართველოსა და უკრაინაში“ - დონორი: ევროკავშირი. პროექტის განმახორციელებლები: CSRDG, არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი და Ukrainian Center for Independent Political Research.

4. „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ - დონორი: ევროკავშირი. პროექტის განმახორციელებლები: CSRDG, დემოკრატიის ინსტიტუტი, ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტი;

5. კრიტიკული აზროვნება ციფრულ სამყაროში - Die Bundeszentrale für politische Bildung;

6. სამოქალაქო ჩართულობა ერთ კადრში - Die Bundeszentrale für politische Bildung.

**2017** წელს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები, ორიენტირებული იყო ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარებისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ.

**CSRDG**, პარტნიორი ორგანიზაციის სახით ჩართულია პროექტის "საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება სოციალური სერვისების პოლიტიკის დიალოგში წვლილის შეტანისთვის საქართველოსა და უკრაინაში" განხორციელებაში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება საქართველოს არბაითერ სამარიტერ ბუნდის (ASB-Georgia), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) და უკრაინის დამოუკიდებელი პოლიტიკური კვლევების ცენტრის (UCIPR) მიერ. პროექტის ფარგლებში საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა ჩაატარა ორგანიზაციის განვითარების ტრენინგები და კონსულტაციები ორი კოალიციის (12 ორგანიზაცია) და ექვსი ორგანიზაციისთვის, რომლებსაც ჯამში 66 მონაწილე დაესწრო. ორგანიზაციამ ასევე განახორციელა ხუთი სამუშაო შეხვედრა და კონსულტაციები, რომელთა დროსაც ორგანიზაციებმა და კოალიციებმა შექმნეს სოციალური მომსახურების ადვოკაციის გეგმები, რომელთა საბოლოო მიზანი იყო მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს 27 ორგანიზაციის 63-მა წარმომადგენელმა. თავად პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების სოციალური პოლიტიკის დიალოგში მონაწილეობას საქართველოსა და უკრაინაში. პროექტის ხანგრძლივობაა სამი წელი და იგი 2015 წლის 1 მარტიდან მიმდინარეობს.

**2017** წლის თებერვალში ჩატარდა ტრენინგი თემაზე მუნიციპალური ბიუჯეტის თანამონაწილეობითი მონიტორინგი. ტრენინგს ესწრებოდნენ პროექტის მიზნობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები 4 მუნიციპალიტეტიდან: ფონდი „სოხუმი" - ხონი, „ტყიბული რაიონის განვითარების ფონდი"- ტყიბული, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი" - გორი და „თანაზიარი" - ზუგდიდი. ტრენინგის შემდეგ აღნიშნული ორგანიზაციების მიერ CSRDG კონსულტანტების დახმარებით შემუშავდა 4 მონიტორინგის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა თითოეული მუნიციპალიტეტის სოციალური ბიუჯეტის მონიტორინგს. 9 თვის მანძილზე მიმდინარეობდა აქტიური მონიტორინგის პროცესი როგორც სოციალური ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში, ისე 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნულ პერიოდში მიზნობრივი ორგანიზაციები მუდმივად იღებდნენ კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს CSRDG კონსულტანტებისგან გაწეული საქმიანობის შესახებ. აქტივობები განხორციელდა პროექტის: „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში" – დონორები: ევროკავშირი და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. პროექტის განმახორციელებლები: CSRDG და ფიფლ ინ ნიდ.

**2017** წელს ახალგაზრდებისკენ მიმართული კიდევ ერთი აქტივობა პროექტის –„კრიტიკული აზროვნება ციფრულ სამყაროში"– ფარგლებში შემუშავებული ინოვაციური ტრენინგ–პროგრამა იყო. ტრენინგის თემა „კრიტიკულ აზროვნებას" ეხებოდა, კურიკულუმზე მუშაობის დროს გამოყენებული იყო, როგორც ტრადიციული არაფორმალური განათლების, ისე თანამედროვე ციფრული მეთოდები. პროგრამის საბოლოოდ მომზადების შემდეგ CSRDG ტრენერებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-20 წლის ახალგაზრდებისთვის ჩაატარეს ტრენინგი სახელწოდებით: „იაზროვნე კრიტიკულად – იმოქმედე პრაქტიკულად". პროექტის დონორი ორგანიზაცია: პროექტი დაფინანსებულია გერმანიის სამოქალაქო განათლების ფედერალური სააგენტოს მიერ (Bundeszentrale fur politische Bildung-BPB).

**2017** წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების დაკვეთის საფუძველზე მომზადდა და განხორციელდა რამდენიმე ორგანიზაციულ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგი და განვითარების პაკეტი. დამკვეთი ორგანიზაციები იყვნენ: ღია საზოგადოება საქართველო, **SOS** ბავშვთა სოფელი, ახალგაზრდული აზროვნება, გაეროს ასოციაცია საქართველო.

წლის განმავლობაში ორგანიზაციულ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და განვითარების პაკეტების ჯამური შედეგი ასე გამოიყურება:




„სამოქალაქო ჩართულობა ერთ კადრში“ – ასე ერქვა პროექტს, რომლის ფარგლებშიც მომზადდა 20 წუთიანი ვიდეო სადაც, ხუთი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე გამოიკითხვა და ერთ გაერთიანდა მათი შეხედულებები სამოქალაქო ატავიზმსა და აქტიურ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. პროექტში ჩართული იყო საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია და რუსეთის სამოქალაქო ორგანიზაციები - ვიდეოს ნახვა შეგიძლიათ აქ. პროექტი განხორციელდა - Die Bundeszentrale für politische Bildung–ის მხარდაჭერით.

**ღია მმართველობის ხელშეწყობის** მიმართულების ამოცანაა ღია და საჭიროებებზე დაფუძნებული მმართველობის დასამყარებლად, მთავრობისა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. არსებული ამოცანების სრულყოფისათვის ორგანიზაციაში ორი პროგრამის ფარგლებში ვმუშაობთ, ესენია - **კარგი მმართველობის** და **ევროინტეგრაციის ხელშეწყობის** პროგრამები.




***კარგი მმართველობა*** - ადგილობრივი თვითმართველობების მიერ გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულების და მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება მართვის პროცესში.

***ევროინტეგრაციის ხელშეწყობა*** - საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების უკეთ იდენტიფიცირების, მონიტორინგის და ადვოკატორების კუთხით.

# ღია მმართველობის ხელშეწყობა

ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ადგილობრივ აქტივისტთა ჯგუფების მხარდაჭერის გზით, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება და სამოქალაქო კულტურის ფორმირება.

***1998*** წლიდან აქტიურად ვმუშაობთ მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკითხებზე. მრავალწლიანმა საქმიანობამ, არაერთმა განხორციელებულმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საქმეში. შესაბამისად, კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროგრამა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა.

ჩვენი ექსპერტების მიერ მომზადებული პრაქტიკული ხასიათის კვლევები და დიაგნოსტიკური ანგარიშები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა თვითმმართველი ერთეულების ფისკალური დამოუკიდებლობა, მუნიციპალური ქონების ფორმირება/განკარგვა, დემოკრატიული მმართველობის სისტემები, დეცენტრალიზაცია, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სხვა. პროგრამის ფარგლებში მომზადებული კვლევებისა და რეკომენდაციების საშუალებით ვეხმარებით ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებს პრობლემების გადაწყვეტაში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და პროექტებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

## პროგრამის ძირითადი საქმიანობა ***2017*** წელს

***2017*** წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა საჯარო მმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მონიტორინგი მუნიციპალური ბიუჯეტისა და მუნიციპალური პროგრამების მართვის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და ეფექტურობის ხელშეწყობის კუთხით. მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზი და მმართველობის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება მოხდა. არსებული რეკომენდაციების განხილვა/ინიცირება მუნიციპალურ, სამხარეო და ცენტრალურ დონეზე განხარციელდა; ტექნიკური დახმარების კუთხით ვცდილობთ მმართველობის ეფექტურობის მხარდაჭერას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის და შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობას.

სხვადასხვა კვლევისა და პროექტის ფარგლებში მომზადდა 6 გაერთიანებული სახით გაცემული რეკომენდაცია, რომელთაგან გათვალისწინებულ იქნა 18 მათგანი.

წლის განმავლობაში კვლევის შედეგებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გარშემო მოეწყო 11 საჯარო განხილვა. 45-თვითმმართველობის საკრებულოს სხდომაზე განიხილეს ჩვენ მიერ ინიცირებული საკითხები.

 პროგრამის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულები კონსტიტუციური ცვლილებების განხილვის პროცესში ისევე, როგორც თვითმმართველობის რეფორმისა და 7 თვითმმართველი ქალაქისთვის სტატუსის გაუქმების პროცესში.

## 2017 წელს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები

წელს ჩვენი საქმიანობა, მიმდინარე პროექტები ფარგლებში მოიცავდა ისეთ მიმართულებით მუშაობას, როგორიცაა გამჭირვალობა და ანგარიშგება, ადგილობრივი და ცენტრალური საბიუჯეტო საქმიანობის მონიტორინგი, დეცენტრალიზაცია, კანონშემოქმედებითი მუშაობა და კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);
2. მაღალმთიან დასახლებებში თვითმმართველობის განვითარება მეწარმეობის განვითრების საშუალებით ფრიდრიხ-ებერტის-ფონდი – Friedrich-Ebert-Stiftung (FES);
3. მოქალაქეები ღია და ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობისთვის - USAID;

### პროგრამის კვლევითი საქმიანობა

**მაღალმთიანი რეგიონების განვითარება** - CSRDG-მ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, "მაღალმთიან დასახლებებში თვითმმართველობის განვითარება მეწარმეობის განვითარების მეშვეობით", შეისწავლა მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო ინიციატივებისა და საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც 2016 წლიდან ამოქმედდა.

კვლევისას შესწავლილია საკანონმდებლო გარემო, მთავრობის გადაწყვეტილებები და სამიზნე დასახლებებში/მუნიციპალიტეტებში (მესტიის მუნიციპალიტეტი - მესტია, ლენჯერი, ლახამულა, თელავის მუნიციპალიტეტი - თეთრი წყლები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ზოტი, ჩხაკაურა) არსებული მდგომარეობა. კვლევის შუალედური შედეგები სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად განხილულია მესტიასა და თელავში გამართულ მრგვალი მაგიდის ფორმატში, საბოლოო შედეგები და რეკომენდაციები კი გამოქვეყნებულია ცენტრის ბიულეტენში.

"მაღალმთიან დასახლებებში თვითმმართველობის განვითარება მეწარმეობის განვითარების მეშვეობით" - კვლევის პრეზენტაცია 18 დეკემბერს, კაფე „ლოლიტას" საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

**სამუშაო შეხვედრები** - კვლევის საბოლოო პრეზენტაციას წინ უძღოდა კვლევის შუალედური შედეგების შესახებ პრეზენტაცია. სამუშაო შეხვედრა 25 ივლისს დაბა მესტიაში შედგა პროგრამის ორგანიზებით. სამუშაო შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში მიმდინარეობდა და მესტიის, თელავისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელები მონაწილეობდნენ.

ჩვენმა მკვლევარმა და პროგრამის ხელმძღვანელმა - ლევან ალაფიშვილმა, მონაწილეებს წარუდგინა კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა მაღალმთიან დასახლებებში მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობებსა და პრობლემებს. 2016 წლიდან ამოქმედდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" კანონი და შეღავათები საგადასახადო კოდექსში პროექტი სწორედ აღნიშნული სიახლის კვლევას და თვითმმართველობის გაძლიერებაზე მისი გავლენის შესწავლას ითვალისწინებს.



საქართველოში სულ 3633 სოფელი და 71 მუნიციპალიტეტია. კანონის მიღების შემდგომ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1681 დასახლებას (სოფელი, დაბა, მუნიციპალიტეტი) 41 მუნიციპალიტეტიდან.

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მატარებელი მეწარმე სუბიექტი 10 წლის განმავლობაში თავისუფლდება მოგების (მისი განაკვეთია 15%) და ქონების (მისი განაკვეთია 1%), ხოლო მეწარმე ფიზიკური პირი - საშემოსავლო (მისი განაკვეთია 20%) გადასახადისგან.

კვლევის შედეგები დაიბეჭდა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენში, ასევე გამოიცა მოკლე სახელმძღვანელო. პუბლიკაციაში მოცემულია მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოს მიერ მოგების გადასახადის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემათა გადაწყვეტის ხედვა, რომელიც გააჩნიათ კომპეტენტურ ორგანოებს. ნაშრომში სახელმძღვანელოდ მოცემულია მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მოპოვების პროცედურები.

**ადგილობრივი ბიუჯეტის მართვის სისტემების კვლევა** - USAID-საქართველოს პროექტის „მოქალაქეები ღია და ეფექტური ადგილობრივი მმართველობისთვის" ფარგლებში, 2017 წელს გახორციელდა „მუნიციპალური მართვის სისტემის კვლევა“. კვლევის მიზანი იყო, მუნიციპალური დანიშნულების ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის შესწავლა და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობა, რეკომენდაციების შემუშავებითა და ადვოკატირების გზით. კვლევის ფარგლებში განხილულია ცენტრალური და რეგიონული დონის კომპეტენციების, რეგულაციებისა და პრაქტიკის ანალიზი, მუნიციპალურ დონეზე კი დამატებით, თვითმმართველობების ფინანსური უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებლობის ხარისხის მუნიციპალური ფინანსების მიზნობრიობის განსაზღვრისა და მათი მართვისას, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება და მათი ჩართულობა საჯარო ფინანსების მართვისა და განკარგვის პროცესში. კვლევა ორიენტირებულია მმართველობის სამ – ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

კვლევის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები, დაინტერესებულ მხარეებს 20 აპრილს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია"-ში გამართულ „მუნიციპალური ფინანსების მართვის სისტემის კვლევის“ პრეზენტაციაზე, CSRDG-ს ექსპერტმა, ლევან ალაფიშვილმა გააცნო.

**საბიუჯეტო სისტემის მონიტორინგი და არჩევნები -** 2016 - 2017 წლებში, CSRDG-ს მიერ განხორციელდა „ღია საზოგადოება საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტი „არჩევნები და საჯარო ფინანსების მართვა“. პროექტი მიზნად ისახავდა საჯარო ფინანსების მართვის სისტემისა და წინასაარჩევნო პერიოდში შეზღუდვების უზრუნველყოფის კვლევას იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო, ავტონომიური ან მუნიციპალური ბიუჯეტებიდან.

არჩევნებისას საჯარო ფინანსების ჩვეულებრივზე უფრო მეტი მოცულობით პირდაპირი თუ ირიბი გამოყენება წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მავნე პრაქტიკად ჩამოყალიბდა. წინასაარჩევნო პერიოდში სამართლიანი გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების, არამედ იმ საჯარო რესურსის სათანადო გამოყენება, რომელიც არ არის დაკავშირებული ბიუჯეტთან, მაგრამ წარმოადგენს სწორედ საჯარო სიკეთეს: ქონებას, უფლებას, პრივილეგიას, მომსახურებას, საფასურს და სხვა.

წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსების მართვის სისტემის კვლევა საბიუჯეტო დაფინანსებაზე არმყოფი მსხვილი სსიპ-ების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური განვითარების ფონდის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მაგალითზე წარიმართა. კვლევის შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის პრობლემები, მიგნებები და რეკომენდაციები წარედგინება საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, აგრეთვე კომპეტენტურ სსიპ-ებსა და სამინისტროებს. კვლევის შედეგების პრეზენტაცია, CSRDG სა მიერ, 28 აპრილს, კაფე ლოლიტას საკონფერენციო დარბაზში შედგა.

# ევროინტეგრაციის ხელშეწყობა

ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა **2015** წლიდან დავიწყეთ. თავდაპირველად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფეროს რამდენიმე მიმართულებაზე ვიყავით ორიენტირებული (ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა, პროდუქციის უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მომხმარებელთა დაცვა), თუმცა 2017 წლიდან პროექტმა ამ შეთანხმებების პრაქტიკულად ყველა მიმართულება მოიცვა.

**2017** წლიდან CSRDG - სოციალური, ეკონომიკური, კულტურული უფლებების ადვოკატირება გახდა პროგრამის ძირითადი მიზანი, რომელიც შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: სამოქალაქო ორგანიზაციების CSO-ების მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში მთავრობის მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერება და ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში რეფორმების ადვოკატირება; ამ კომპონენტების გაძლიერების ხელშეწყობით, შესაძლებელი გახდება, სამოქალაქო სექტორის როლის გაძლიერება პოლიტიკურ დიალოგში. ჩვენი მიზანია შევქმნათ და განვავითაროთ მონიტორინგის ონლაინ ინსტრუმენტები, მოვამზადოთ და განვახორციელო ტრენინგები, სემინარები, ონლაინ კურსები და სემინარები.

## პროგრამის ფარგლებში 2017 წელს მიმდინარე პროექტები

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);
2. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" - ევროკავშირი - The European Union.

## 2017 წელის ერთობლივი ღონისძიებები და ტრენინგები

პროგრამის ფარგლებში **2017** წლის განმავლობაში, განხორციელდა ტრენინგების ციკლი ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესახებ. ტრენინგების მიზანი იყო დახმარებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგის განხორციელებაში.

ტრენინგების ციკლში, რომელიც 4 ეტაპად განხორციელდა, მონაწილეობა მიიღო 82 საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელმა. სამდღიანი ტრენინგები 12 სესიას მოიცავდა და ფარავდა 30 თემას ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე. ტრენინგების მსვლელობის დროს თეორიულ მასალასთან ერთად მონაწილეები განიხილავდნენ პრაქტიკულ მაგალითებსა და სავარჯიშოებს.

ტრენინგებზე განხილული საკითხები:

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ისტორია; NGO როლი ევროპული ინტეგრაციის პროცესში; კონფლიქტის თემა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში; საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა; საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; საჯარო ფინანსების კონტროლი და სხვა.

## ვებპორტალი ასოცირება.ჯი

ვებპორტალი ასოცირება.ჯი/asocireba.ge ინფორმაციის მოძიების გამარტივებისა და სამოქალაქო საზოგადობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით შეიქმნა, რომელის საშუალებითაც შეგიძლიათ დაწვრილებით ინფორმაცია მიიღოთ - „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ შესახებ, რომელიც დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით შევქმენით, და იგი, ასევე, ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგის ხელშემწყობი ინსტრუმენტია.

ვებპორტალის საშუალებით ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო რესურსები, არასამთავრობო ორგანიზაციათა მიგნებები და დასკვნები ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე. ვფიქრობთ, ჩვენი ეს საქმიანობა საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. 2018 წლიდან კი საიტის განახლება დაიწყება, რაც საშუალებას მოგვცემს მომხმარებლისთვის უფრო მარტივი ნავიგაციის სისტემა შევქმნათ, განახლდება ბმულები და არსებული რესურსები.

## 2017 წელს პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსი

**2017** წლის აგვისტოში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გამოცხადდა მცირე გრანტების კონკურსი, რომელიც ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების ადვოკატირების ხელშეწყობას ითვალისწინებდა.

კონკურსის პირობების თანახმად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ საქართველოში რეგისტრირებულ და მოქმედ სამოქალაქო ორგანიზაციებს, როგორც ინდივიდუალური განმცხადებლის, ასევე კონსორციუმის სახით. კონკურსში წარმოდგენილი იყო 19 განაცხადი, აქედან დაფინანსდა 5 პროექტი.

# 3

## ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა

**ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის** მიმართულების სტრატეგიულ ამოცანას ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა წარმოადგენს. ორგანიზაციაში ამ მიმართულებაში სამი პროგრამა ერთიანდება.



## მომხმარებლის უფლებები

მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობა **2009** წლიდან დავიწყეთ და რამდენიმე წელიწადში ამ მიმართულებით ერთ-ერთ წამყვან საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოვყალიბდით. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, ჩვენი მიზანია, ქვეყანაში სახელისუფლებლო სტრუქტურების მიერ მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე.

თავდაპირველად ბაზრის მონიტორინგი სურსათის შემოწმებით დავიწყეთ და დღეისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში, სხვა სამომხმარებლო პროდუქციის მონიტორინგსაც ვახდენთ. 2011 წლიდან, CSRDG-ს ბაზაზე, მოქმედებს ინტერაქციული ვებპორტალი www.momxmarebeli.ge და იმავე დასახელების ფეისბუქის გვერდი, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას მომხმარებლის უფლებების შესახებ, გაეცნონ ინფორმაციას დარღვევის ფაქტების შესახებ და ასევე, თავად განათავსონ ინფორმაცია აღნიშნული უფლებების დარღვევის შემთხვევაში პირადი გამოცდილების შესახებ.

მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე, ან ჩვენივე ინიციატივით სავაჭრო ქსელიდან ვიღებთ საეჭვო ხარისხის სურსათის ნიმუშებს, ლაბორატორიულად ვამოწმებთ, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაციას ვაქვეყნებთ ვებპორტალსა და ფეისბუქის გვერდზე, რეაგირებისთვის მივმართავთ სურსათის ეროვნულ სააგენტოსა (სეს) და იმ მეწარმეებს, რომელთა პროდუქციაში დარღვევები აღმოვაჩინეთ.

### პროგრამის ფარგლებში **2017** წელს მიმდინარე პროექტები

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);
2. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა მომხმარებელზე და მათი ცნობიერების ამაღლება ევროკავშირი – The European Union.

### პროგრამის ფარგლებში **2017** წელს განხორციელებული საქმიანობა

სურსათთან დაკავშირებულ საკითხებზე საჩივრებით, ან კითხვებით პროგრამას 188 მომხმარებელმა მიმართა. მომხმარებელთა საჩივრების, ან პროგრამის მიერ სხვა წყაროებით გამოვლენილი რისკების საფუძველზე სურსათის 50 ნიმუში შემოწმდა. გამოვლენილი დარღვევების შესახებ საჯაროდ გავრცელდა ინფორმაცია და ეცნობა სეს-ს.

პროგრამამ ასევე გააგრძელა სათამაშოების შემოწმების 2016 წელს წამოწყებული ინიციატივა, რომლის დროსაც 16 მავნე სათამაშო გამოავლინა. 2017 წელს კიდევ 6 სათამაშო შემოწმდა და განხორციელდა ადვოკატირების კამპანია სათამაშოების უსაფრთხოების სახელმწიფო კონტროლის შემოსაღებად, რომელსაც სახალხო დამცველის ოფისიც აქტიურად შეუერთდა. პროგრამამ 5 ეკოლოგიურად მავნე სათამაშო აღმოაჩინა და განახორციელა ადვოკატირების კამპანია სათამაშოების უსაფრთხოების სახელმწიფო კონტროლის შემოსაღებად.

გამოაშკარავდა, რომ საქართველოს კანონმდებლობის არასრულყოფილების გამო, ხელისუფლებას არ შეუძლია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი სათამაშოების ბაზრიდან გამოთხოვა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი მავნეობა გამოაშკარავდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხარვეზი არ გამოსწორდა და საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ 2019 წელს გეგმავს სათამაშოების ბაზრის უსაფრთხოების კონტროლის დასანერგად კანონმდებლობის მიღებას, კამპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ამ პრობლემასთან დაკავშირებით და ხელი შეუწყო მომავალში სახელმწიფო კონტროლის დაწყებისათვის წინაპირობების შექმნას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წელს, 109 იურიდიული კონსულტაცია გაიცა მომხმარებლის უფლებების დაცვის სხვადასხვა საკითხზე.

პროგრამამ განახორციელა მონიტორინგისა და ადვოკატირების კამპანიები სურსათში ტყვიის შემცველობის კონტროლთან, სეს-ის გამჭვირვალობასთან, მის მიერ მავნე სურსათის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებასთან, სურსათის დაბინძურების წყაროების გამოვლენასთან დაკავშირებით.
პროგრამამ მონაწილეობა მიიღო 4 ნორმატიული აქტის პროექტის განხილვაში და საკუთარი რეკომენდაციები მიაწოდა სახელმწიფო სტრუქტურებს.

ვებსაიტისათვის მომზადდა 5 საგანმანათლებლო სტატია. გამოიცა საგანმანათლებლო ბუკლეტები: „როგორ შევარჩიოთ ხორცი?“ და „სურსათის ეტიკეტირება“. ბუკლეტის 1000 ეგზემპლარი უსასყიდლოდ დარიგდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროგრამამ 2 საინფორმაციო შეხვედრა გამართა თელავსა და ოზურგეთში სურსათის ეტიკეტირების საკანონმდებლო მოთხოვნებთან დაკავშირებით. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს სეს-ს, ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელმა, ასევე, ადგილობრივმა მეწარმეებმა – სულ 56 ადამიანმა.

დასრულდა 2016 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაცემული 4 მცირე პროექტი, რომელთა ფარგლებშიც მომხმარებლის უფლებების დაცვის სხვადასხვა საკითხზე მოქალაქეთა ინფორმირების კამპანიები ჩატარდა. (გრანტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში)

მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჟურნალისტური ნამუშევრებისა და მოსწავლეთა ესეების კონკურსები ჩატარდა. ჟურნალისტურ კონკურსში 41-მა, ხოლო ესეების კონკურსში 73-მა ნამუშევარმა მიიღო მონაწილეობა. გაიმარჯვა ორმა სატელევიზიო, ერთმა რადიო, ერთმა ინტერნეტნამუშევარმა და 7-მა ესემ. კონკურსების გამარჯვებულებს სპეციალური ჯილდოები გადაეცათ.

პროგრამის მიერ განხორციელებული სასურსათო ბაზრის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა 14 უვარგისი, ან ნაკლიანი პროდუქტი, რის შესახებაც პროგრამამ საჯაროდ გაავრცელა ინფორმაცია. ცენტრის მიმართვის შემდეგ, სეს-მა შეამოწმა შესაბამისი მეწარმეები, 9 შემთხვევაში აღმოაჩინა დარღვევა, რასაც მოჰყვა დაბინძურებული პროდუქტის ბაზრიდან გამოთხოვა, კანონდამრღვევთა დაჯარიმება და, შესაბამის შემთხვევებში, მათი საქმიანობის შეჩერება. პროგრამის მიერ განხორციელებული განმეორებითი შემოწმებების შედეგად, 6 შემთხვევაში დარღვევა აღარ დადასტურდა.

პროგრამის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების შედეგად, მეწარმეებმა 3 მომხმარებელს დაუკმაყოფილეს მოთხოვნა უვარგისი (არასასურსათო) პროდუქტის შეკეთების/გამოცვლის თაობაზე.

## მომხმარებლის უფლებები

სამოქალაქო ადვოკატირების კამპანიის შედეგად, რომელშიც პროგრამამ აქტიური მონაწილეობა მიიღო, სეს-მა მნიშვნელოვნად გაზარდა ტყვიის შემცველობაზე სუნელებისშემოწმება. ასევე, საბაჟო დეპარტამენტმა დაიწყო იმპორტირებული სუნელების შემოწმება, რასაც ეს უწყება ადრე არ ახდენდა.

გაიზარდა სეს-ის გამჭვირვალობის დონე. პროგრამის მიმართვების შედეგად, სეს-მა დაიწყო მის მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგების სრული გასაჯაროება.

პროგრამამ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ორი სისტემური ხარვეზი გამოავლინა, რომელიც საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყო:
მავნე პროდუქტების დაბინძურების წყაროების გამოვლენა დიდ სირთულეს წარმოადგენს და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. სეს არ ახდენს მოსახლეობის დროულ გაფრთხილებას მის მიერ გამოვლენილი მავნე პროდუტების შესახებ. ამ ხარვეზებთან დაკავშირებით პროგრამა აგრძელებს მონიტორინგსა და ადვოკატირებას.

პროგრამის მიერ შემუშავებული 7 რეკომენდაცია აისახა სურსათის უვნებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

ვებპორტალს momxmarebeli.ge 2017 წელს 200 000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, ფეისბუქის გვერდს კი 22 000-ზე მეტი მიმდევარი.

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა CSR

**2004** წელს, ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის, პირველმა დავიწყეთ საუბარი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის(CSR) მნიშვნელობის შესახებ. მას შემდეგ, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისა და ექსპერტიზის ხელმისაწვდომობის მიზნით, აქტიურად ვმუშაობთ როგორც სამთავრობო სტრუქტურებთან, ისე უშუალოდ მსხვილ და მცირე ბიზნესკომპანიებთან, მედიასთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცნების პოპულარიზაციის მიზნით, შევქმენით ბლოგი - www.csrblog.ge, სადაც შეგიძლიათ იხილოთ ახალი ამბები, ინტერვიუები, ექსპერტების სტატიები და სხვადასხვა ტიპის რესურსები CSR-ის მიმართულებით.

CSR-ის განვითარების მიზნით ჩავატარეთ არაერთი საკომუნიკაციო კამპანია, ტრენინგი, სემინარი, მასტერკლასი და დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი.

CSR არის ბიზნესის კეთილი ნება, საკუთარი საქმიანობით არ მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანებსა და ბუნებაზე და წვლილი შეიტანოს საზოგადოების კეთილდღეობაში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility /CSR ) ანუ ბიზნესის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე (ბიზნესის პასუხისმგებელი ქცევა), წარმოადგენს ბიზნესის პასუხისმგებლობას იმ ზეგავლენაზე, რომელსაც ორგანიზაცია თავისი საქმიანობით ახდენს საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოზე. ეს არის ბიზნესის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, დააკმაყოფილოს საქმიანობის უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე მას კანონით ეკისრება, იმოქმედოს ეთიკურად, გაითვალისწინოს საზოგადოების მოლოდინი, დადებითი ზეგავლენა მოახდინოს თავის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე.

2017 წელს CSR პროგრამის ინიციატივით მომზადდა საინფორმაციო სახის ელექტრონული ბიულეტენი, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ მხარეებს ვაწვდით ინფორმაციას ჩვენ მიერ განხორციელებული CSR აქტივობების შესახებ.

## პროგრამის ფარგლებში **2017** წელს მიმდინარე პროექტები

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);
2. "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" - ევროკავშირი -The European Union;
3. პრო ბონო სერვისების მიწოდების ხელშეწყობა ონლაინ–პლატფორმის შექმნით (MitOst);
4. დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის - როგორ გავხდეთ პასუხუსმგებელი დამსაქმებელი, ორგანიზება - ფრიდრიხ-ებერტის-ფონდი – Friedrich-Ebert-Stiftung (FES)

## 2017 წელის ერთობლივი შეხვედრები და ღონისძიებები

**ფორუმი, „CSR და შრომითი სტანდარტები“ 2017** წლის, 30 ნოემბერს სასტუმრო “ქორთიარდ მერიოტში” გაიმართა. ღონისძიების მხარდამჭერი იყო ებერტის ფონდი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ღონისძიების გახსნაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა, სლოვაკეთისა და ავსტრიის ელჩებმა საქართველოში;

ფორუმის მიზანი იყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის წარმოჩენა შრომითი სტანდარტების დანერგვასა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესრულებაში. ღონისძიებას, სახელისუფლებლო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორის 150–ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

ფორუმის მსვლელობისას ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები საუბრობდნენ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო, როგორიცაა საქართველოში შრომითი სტანდარტების დაცვა, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფორუმის მსვლელობისას ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები საუბრობდნენ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო, როგორიცაა საქართველოში შრომითი სტანდარტების დაცვა, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილება. ფორუმის ფარგლებში საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ისაუბრეს მოწვეულმა ექსპერტებმა მარტინ ნეურეიტერმა და ლუკას ბაკოსმა, ხოლო CSR-სა და თანამშრომელთა მიმართ პასუხისმგებლობაზე საქართველოში მოქმედი კომპანიების გამოცდილება დამსწრეებს კომპანია APM Terminals Poti- მა და მიკროსაფინანსო კომპანია JSC MFO Crystal- მა გაუზიარა.

**მასტერკლასი - CSR და შრომითი სტანდარტები.** 30 ნოემბერს გაიმართა მასტერკლასი: "კომპანია, როგორც პასუხისმგებელი დამსაქმებელი“. მასტერკლასს დაესწრო საქართველოში მოქმედი საშუალო და მსხვილი ბიზნესკომპანიების 20 წარმომადგენელი. მასტერკლასი გაიმართა ფორუმის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და შრომითი სტანდარტები“- ფარგლებში. მასტერკლასს უძღვებოდნენ: მარტინ ნეურეიტერი და ლუკას ბაკოსი. მასტერკლასის მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ გაცნობოდნენ და გაეანალიზებინათ პასუხისმგებელი სამუშაო გარემოს ძირითადი თემები, როგორიცაა: მრავალფეროვნება და თანაბარი შესაძლებლობები; ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო სამუშაო გარემო; თანამშრომელთა კეთილდღეობა და სოციალური დაცვა; პირადი ცხოვრებისა და სამუშაოს ბალანსი; განათლება და პროფესიული ზრდა; მენეჯმენტისა და თანამშრომლების ურთიერთობა და სამუშაო გარემო.

**სტუდენტური პრინტების კონკურსი:** "სტუდენტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის" 2017 წელს, პროგრამის ინიციატივით პირველად გაიმართა. კონკურსის მიზანი იყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მხრიდან კონცეფციის სწორი აღქმის ხელშეწყობა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს 8 უნივერსიტეტისა და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებმა. შემოვიდა 14 სტუდენტის მიერ მომზადებული 17 ნამუშევარი.

CSRDG-ს ორგანიზებით, თიბისი ბანკთან და პრინტების საერთაშორისო ფესტივალთან LIFE N STYLE 2017, თანამშრომლობით, 2017 წლის 10 ივლისს ახალი მზიურის ეზოში სტუდენტების კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. კონკურსის შედეგად გამოვლინდა ორი გამარჯვებული: ჟიურის რჩეული ლუკა ივანიძე; სოციალურ ქსელ-Facebook-ის აუდიტორიის მიერ მოწონებებით გამოვლენილი გამარჯვებული - ანა კაშია და დავით ნაჭყებია და ასევე პრინტების საერთაშორისო ფესტივალის რჩეული-ლუკა ივანიძე.

**საჯარო ლექციები სტუდენტებისათვის** - 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, საზოგადოებრივი ურთიერთობის ფაკულტეტის მაგისტრანტებისთვის ჩატარდა ორი საჯარო ლექცია „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: ბიზნესის ახალი რეალობა" - ლექციას უძღვებოდა ლელა ხოფერია CSR პროგრამის ხელმძღვანელი.

**ტრენინგი – როგორ შევიმუშაოთ კომპანიის CSR სტრატეგია.** 2017 წლის 30 ივნისს გაიმართა ტრენინგი „როგორ შევიმუშაოთ კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია“. ტრენინგს უძღვებოდა ჟაკ სპელკენი (ბელგია), ბელგიის რამდენიმე უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, საერთაშორისო ტრენერი CSR საკითხებში, მსხვილი მულტი ნაციონალური კომპანიის "ENGIE Group"-ის პრეზიდეტის მრჩეველი და CSR დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ტრენინგს ფასილიტაციას უწევდა ლელა ხოფერია, CSR პროგრამის ხელმძღვანელი. აღნიშნულ საკითხზე ტრენინგი პირველად ჩატარდა საქართველოში და მას ადგილობრივი მსხვილი ბიზნესის ოცი წარმომადგენელი ესწრებოდა. ღონისძიების მხარდამჭერი იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

**უკუკავშირი:** საუკეთესო ტრენინგი CSR-ზე და საუკეთესო ტრენინგი, რომელსაც წელს დავსწრებივარ (აჭარის წყალი)

## პრობონო

კომპანიებისათვის პრო ბონო სერვისები, მათი სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას, კერძოდ კი, თანამშრომელთა მოხალისეობის (კორპორაციული მოხალისეობის) ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.ტერმინი პრო ბონო სერვისები გულისხმობს სამოქალაქო ორგანიზაციების ან მოქალაქეებისათვის პროფესიული მომსახურების გაწევას უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად, ანუ საზოგადოების საკეთილდღეოდ.

პრო ბონო სერვისები კერძო სექტორის ექსპერტიზასა და ინტელექტუალურ რესურსებს ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის. ამ გზით კომპანიები ეხმარებიან საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომელთა ინტერესებსაც ემსახურება და გამოხატავს ესა თუ ის სამოქალაქო ორგანიზაცია.

"პრო ბონო" არის შემოკლებული ფორმა ლათინური გამოთქმისა pro bono publico, რაც ნიშნავს "საზოგადოების საკეთილდღეოდ"

„საქართველოს Pro Bono ქსელი“, რომლის საქმიანობის კოორდინირებას ჩვენი გუნდი ახორციელებს, მიზნად ისახავს პასუხისმგებელი ბიზნესკომპანიების დაკავშირება ბენეფიციარ სამოქალაქო ორგანიზაციებთან პრო ბონო სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით. 2 წლის განმავლობაში კონსულტაცია გაეწია 30-მდე ბენეფიციარ ორგანიზაციას. 2017 წელს, პრო ბონო ქსელის 13 წევრს 4 კომპანია შეუერთდა და დღეისათვის აერთიანებს 17 ბიზნეს კომპანიას. 2017 წელს პრო ბონო ქსელში გაწევრიანებული კომპანიებია: APM Terminals Poti, Georgian Progress Group; პაშა ბანკი; საკონსულტაციო კომპანია Profit Lab.

2017 წელს ჩვენი პროგრამის მიერ განხორციელებული პრო ბონო მედიაციის პროგრამის ფარგლებში პრო ბონო თანამშრომლობის რამდენიმე წარმატებული მაგალითი:

1. საქართველოს იურიდიულ ფირმათა ასოციაციის წევრმა კომპანიამ, კორძაძის საადვოკატო ბიურომ სოციალურ საწარმო "იკორთა"-ს იურიდიული მომსახურება გაუწია;

2. TBSC კონსალტინგი სოციალურ საწარმო "კოდალას" საექსპორტო შესაძლებლობების მოკვლევითა და რეკომენდაციებით დაეხმარა;

3. ეისითი ACT – სოციალურ საწარმო ბაბალეს დაეხმარა, საკუთარი პროდუქციის კატალოგისა და კორპორაციული შეთავაზების მომზადებაში;

4. საჩხერეს სოციალური კაფისთვის სამშენებლო კომპანია „აქსისმა", გარე სივრცეში მოთავსებული კაფის არქიტექტორული პროექტი მომაზადა.

**2017** წელს CSRDG-მ მეორედ უმასპინძლა საქართველოში „გლობალურ პრო ბონო კვირეულს", რომელიც ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირას მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება და კვირეულის განმავლობაში სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები იმართება. სწორედ ამ კვირეულის ფარგლებში გაიმართა პრო ბონო ქსელის წლიური შეხვედრა და მარათონი.

**პრო ბონო მარათონი 2017**, 27 ოქტომბერს, CSRDG-მ და საქართველოს ბანკმა ერთობლივად ჩაატარეს პრო ბონო მარათონი. მარათონის ფარგლებში საქართველოს ბანკის 13-მა თანამშრომელმა, 9 საათის განმავლობაში, უსასყიდლოდ ანუ პრო ბონოდ გაუწია კონსულტაცია 7 სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელს. ჯამში აღნიშნული მარათონის ფარგლებში ამ ორგანიზაციათა წინაშე არსებული 40-მდე პრობლემა გადაიჭრა.

კონსულტაციები შეეხებოდა ისეთ მიმართულებებს როგორიცაა: იურიდიული საკითხები, ადამიანური კაპიტალის მართვა, სოციალური მედია, ვებ-გვერდი, ღონისძიებების დაგეგმვა, პრესრელიზის დაწერა, საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა, ფლაერის ტექსტის მომზადება, ახალი ლოგოს შექმნა.

**პრო ბონო ქსელის წლის შემაჯამებელი შეხვედრა** იმავე გლობალური პრო ბონო კვირეულის ფარგლებში, 1 ნოემბერს შედგა. პრო ბონო ქსელის წევრების შეხვედრის მიზანი გასული წლის შეჯამება იყო. შეხვედრის დროს განიხილეს გასული წლის აქტივობები და თანამშრომლობის მაგალითები. პრეზენტაციები გააკეთეს იმ კომპანიების წარმომადგენლებმა, რომლებიც 2017 წელს აქტიურად იყვნენ ჩართული პრო ბონო სერვისების მიწოდებაში და დანარჩენებს გაუზიარეს გამოცდილება მათ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ.

# სოციალური მეწარმეობა

ჩვენი გუნდის მრავალმხრივ საქმიანობაში, 2009 წლიდან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებამ. ორგანიზაციის ბაზაზე 2010 წელს შეიქმნა „სოციალური მეწარმეობის ცენტრი“, რომლის მიზანია, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ უკეთ შეძლონ სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევა. ჩვენ ვერთ ერთადერთი ქართული ორგანიზაცია, რომელიც 2017 წლიდან European Venture Philanthropy Association- ის ასოცირებული წევრია.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ვთავაზობთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ექსპერტული მხარდაჭერის და ინსტიტუციური გაძლიერების სერვისს. დამწყები სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით, ვაცხადებთ საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს მუდმივად ვუწევთ კონსულტაციებს ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე. ასევე პროგრამის მნიშვნელოვანი  კომპონენტია სოციალურ მეწარმეობასა და სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და გამოცდილების გაზიარების მექანიზმების შემუშავება.

სოციალური საწარმო ბიზნესპრინციპებით მოქმედი საწარმოა, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია. ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად.წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით, შევქმენით საინფორმაციო-ანალიტიკური ვებპორტალი - www.segeorgia.org, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა მიიღოს საჭირო ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

## პროგრამის ფარგლებში **2017** წელს მიმდინარე პროექტები

1. CSRDG-ს 2017-2020 წლების ძირითადი პროგრამა - პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt(BtW);

2. გზა საზოგადოებაში დასაბრუნებლად ევროკავშირი – The European Union;

3. სოციალური მეწარმეობა  - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის ევროკავშირი – The European Union; პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt (BtW)

2017 წელს დაწყებული პროექტის საშუალებით მოგვეცა შანსი გვემუშავა ისეთ მოწყვლად ჯგუფთან, როგორიც კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი პირები.

## სოციალური მეწარმეობის ცნების პოპულარიზაცია

ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტების ფარგლებში იდეების კონკურსის გამოცხადება 2016 წელს დავიწყეთ. საგრანტო კონკურსის მიზანია: საქართველოში სხვადასხვა სოციალური მისიის მქონე წარმატებული სოციალური საწარმოების დაფუძნება და ამ გზით სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.

სოციალური მისიის მქონე, ინოვაციური ბიზნე იდეის ავტორებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ 2–ეტაპიან საგრანტო კონკურსში და საკუთარი იდეა აქციონ რეალობად.
პირველ ეტაპზე სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველი მონაწილეობას იღებს იდეების კონკურსში და მხოლოდ „იდეების კონკურსის“ შედეგად შერჩეული კონკურსანტები გაივლიან “სოციალური მეწარმეობის განვითარების ლაბორატორიის“ სპეციალურად მათთვის შემუშავებულ, ინტენსიური ტრენინგების კურსს, რომელიც ეხმარებათ: შეიძინონ სოციალური საწარმოს განვითარებისა და მართვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები; განავითარონ ბიზნესგეგმა და მოიპოვონ საგრანტო დაფინანსება.

სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის და ქვეყანაში მყარი ინსტიტუციების შექმნის მიზნით, 2016 წელს 6 სოციალურ საწარმოსთან ერთად დავაფუძნეთ „სოციალური მეწარმეობის ალიანსი“, რომელიც წარმოადგენს სოციალურ საწარმოთა ერთიან პლატფორმას და ხელს უწყობს წევრების საერთო ინტერესების დაცვას, საზოგადოებაში სექტორის ცნობადობის ზრდას, გამოცდილების გაზიარებისა და სექტორებს შორის თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების განვითარებას. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ალიანსის გაძლიერებას და მისი საქმიანობების წარმატებით განხორციელებას, სწორად ამ მიზნით CSRDG 2017 წელს ალიანსის მიერ განხორციელებული ახალგაზრდული ფესტივალის თანადამფინანსებელი იყო. „სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი 2017“-ს ფარგლებში საქართველოს 5 ქალაქში მოეწყო სოციალური მეწარმეების პროდუქტის გამოფენა გაყიდვა. გამოფენის ორგანიზებაში ჩართული იყო 25 სტუდენტი და 18 სოციალური საწარმო. ფესტივალის მოტო #შეაგროვესიხარული იყო. პროექტი განხორციელდა „საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსი“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის და CSRDG- ს ფინანსური მხარდაჭერით.

### სოციალური მეწარმეობის ცენტრი

პროგრამის ფარგლებში, არსებული სოციალური საწარმოების გაძლიერების მიზნით ვმუშაობთ, როგორც ახლად დაფუძნებულ, ასევე უკვე მოქმედ სოციალურ საწარმოებთან. ვაწვდით მათ საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგპაკეტებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. სერვისის მიმწოდებელი CSRDG-ს ბაზაზე არსებული სოციალური მეწარმეობის ცენტრია.

**ტრენინგები** - სოციალური მეწარმოების ცენტრს აქვს შემუშავებული ტრენინგ-პაკეტი საქართველოში მოღვაწე სოციალური მეწარმებისთვის. ტრენინგ-პაკეტი მოიცავს განსხვავებული შინაარსის ოთხ ტრენინგს, ესენია: ტრენინგი სოციალურ მეწარმეობაში – ბიზნესგეგმა; ტრენინგი სოციალურ მეწარმეობაში – შეფასება; ტრენინგი სოციალურ მეწარმეობაში – საზოგადოებრივი ორგანიზაცია – სოციალური საწარმო; ტრენინგი სოციალურ მეწარმეობაში – შესავალი ნაწილი.

**კონსულტაციები** - სოციალური მეწარმეობის ცენტრი დამწყებ სოციალურ საწარმოებს სთავაზობს კონსულტაციების პაკეტს, რაც გულისხმობს კონსულტაციების გაწევას, როგორც სოციალური ბიზნესის დაგეგმვის პროცესში, ასევე, მისი განხორციელების დროს.

2017 წელს, 100-ზე მეტი მონაწილე დაესწრო. ტრენინგების ციკლს, რომელიც სოციალური მეწარმეობის დაფუძნების მსურველთათვის - იდეების კონკურსის, მეორე ეტაპზე გადასული აპლიკანტებისთვის ჩატარდა. თითოეული იდეის წარმომადგენლისთვის ხელმისაწვდომი იყო საკონსულტაციო მომსახურება სრული ბიზნესგეგმის მომზადების პროცესში.

მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე “საგადასახადო კანონმდებლობა და მოგების გადასახადის რეფორმა“, რომელსაც 17 სოციალური საწარმოს წარმომადგენელი დაესწრო. სოციალური საწარმოს წარმომადგენლებისთვის, ხელმისაწვდომია CSR პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული პრო ბონო სერვისები

## ახალგაზრდული კომპონენტი

ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების საქმეში ახალგაზრდების ნოვატორული და შემოქმედებითი პოტენციალის ინტეგრირების მიზნით აქტიურად ვმუშაობთ და ვთანამშრომლობთ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან. 2012 წლიდან ჩვენი გუნდი წარმატებით ახორციელებს კონკურსს „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“, რომელსაც ყოველწლიურად ვაცხადებთ მთელი საქართველოს მასშტაბით.

## კონკურსი სტუდენტები სოციალური მეწარმეობის დასახმარებლად 2017

კონკურსი სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ და ინტერესის სფეროს გაფართოებას უწყობს ხელს. კონკურსის საშუალებას იძლევა სულ უფრო მეტ ახალგაზრდას გავაცნოთ სოციალური მეწარმეობის იდეა და აქტიურად ჩავრთოთ ისინი მათ საქმიანობაში. კონკურსის მიმდინარეობისას სტუდენტები როგორც ქართველ სოციალურ მეწარმეებს, ისე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს ხვდებიან. ნახევარფინალში გასულ 4 სტუდენტურ გუნდს, პროექტის განხორციელებისთვის გადაეცა 1500 ლარი და ასევე თითოეულ ჯგუფთან იმუშავა სტუდენტურმა მრჩეველმა. ფინალურ ეტაპზე განხორციელებული პროექტების შედეგებს წარდგენის შემდეგ ჟიურის წევრებმა შეარჩიეს 1 გამარჯვებული გუნდი.

2017 წელს კონკურსში მონაწილეობა მთელი საქართველოს მასშტაბით 10 უმაღლესი სასწავლებლის 100–ზე მეტმა სტუდენტმა და ოთხმა სოციალურმა საწარმომ მიიღო. სოციალური საწარმოები იყვნენ - ეთნოდიზაინი; არაბული Art Hause; ფარშავანგი; მუსთერაპია.

კონკურსის ფარგლებში გაიმართა ტრენინგ-სემინარები სოციალური მეწარმეობის თემის შესახებ, მოეწყო ექსკურსიები საქართველოს მასშტაბით არსებული სოციალური საწარმოების საქმიანობების გასაცნობად.

**მიღებული შედეგები** - სტუდენტების მიერ მომზადდა 4 ვიდეო კლიპი სოციალური საწარმოებისთვის. გაიზარდა გაყიდვების პროცენტული მაჩვენებელი ყველა საწარმოში. შეიმუშავდა პროდუქციის ახალი ხაზი.

სტუდენტური კონკურსის დაჯილდოების ცერემონია 2017 წლის 16 ივნისს, რესტორან „ეკო გარდენში“ გაიმართა, მონაწილე გუნდის ყველა წევრს გადეცა პარტნიორებისა და მხარდამჭერების მიერ დაწესებული პრიზები, გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი - ჯგუფი Group 11, რომელსაც ფოთის საზღვაო ნავსადგური და საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ერთობლივი დაფინანსებით - სოციალური ბიზნესის საერთაშორისო სამიტზე, საფრანგეთში გაემგზავრა. კონკურსი ჩატრადა ევროკავშირისა და „პური მსოფლიოს“ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. ღონისძიებას ასევე ჰყავდა მხარდამჭერები: „ფოთის საზღვაო ნავსადგური“; მაღაზიათა ქსელი „ლუტეცია“; მშრალი ხილის მწარმოებელი ქართული კომპანია „ქარელის ხილი“; კომპანია „სარაჯიშვილის სახლი“; „ქინქი დიზაინი“; მუსიკალური ბენდი „მიქსტურა“; სოციალური საწარმო „მუსთერაპია“. ღონისძიების მედია პარტნიორები იყვნენ: გადაცემა „საქმიანი დილა“; საინფორმაციო სააგენტო „publicity.ge”; „ტაბულა“; „ლიბერალი“; გაზეთი „Georgia Today”.

## საერთაშორისო კონფერენცია სოციალური მეწარმეობის შესახებ

საერთაშორისო კონფერენცია სოციალური მეწარმეობის შესახებ, 22 სექტემბერს, 2017 წლის, გაიმართა. კონფერენცია თემა იყო "სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მექანიზმები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, შვედეთის, შვეიცარიის წარმომადგენლებმა ექსპერტებმა, რომლებიც სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მუშაობენ, ასევე კონფერენციას ქართული კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციის მიზანი, საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და რეკომენდაციების შემუშავება იყო. ღონისძიების ფარგლებში დამსწრეთ სოციალური მეწარმეობის მსოფლიოს მასშტაბით არსებული საუკეთესო მაგალითები გაეცნენ. აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება რეკომენდაციები სახელმწიფოსთვის სოციალური საწარმოების მხარდაჭერის კონკრეტული მექანიზმების შესახებ. ყოველივე ეს კი სოციალური მეწარმეობის განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ღონისძიება გაიმართა ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, ASB Georgia–სა და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში "სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის" ფარგლებში.

**სემინარი - Venture Philanthropy And Social Investments**. CSRDG-ს ორგანიზებით, EVPA - European Venture Philanthropy Association-თან თანამშრომლობითა და Geocell ჯეოსელი-თან და პარტნიორობით, 2017 წლის 3 ნოემბერს ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში გაიმართა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის ლექცია თემაზე, Venture Philanthropy and Social Investment - ინოვაციური და სტრატეგიული მიდგომა დადებითი სოციალური ზეგავლენისთვის. სემინარის დროს განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: რა არის Venture Philanthropy and Social Investment; კორპორაციების ჩართულობის შესაძლებლობები; კორპორაციების თემატური მაგალითების განხილვა; Venture Philanthropy and Social Investment - განვითარების შესაძლებლობები საქართველოში; ლექციას უძღვებოდა - ევა კონცალი (Ewa Konczal ), European Venpure Philantrophy Association (EVPA)-ის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მენეჯერი.

**B2B გამოფენა.** პირველად საქართველოში, 2017 წელს ჩავატარეთ B2B გამოფენა, რომლის მიზანი იყო სოციალურ საწარმოებსა და წამყვან ბიზნეს კომპანიებს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარება და გაღრმავება, სოციალური მეწარმეობის ცნების პოპულარიზაცია და სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, რადგან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხელი შევუწყოთ, სოციალურ საწარმოებსა და წამყვან ბიზნესკომპანიებს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებას.

გაიმართა 68 B2B შეხვედრა, რომლის შედეგად მოკლევადიან პერიოდში სოციალურმა საწარმოებმა 63 245 ლარის კორპორატიული დაკვეთა მიიღეს. ღონისძიება 3 ნოემბერს, ილიას ბაღში მდებარე „გარდენ ჰოლში“ გაიმართა. გამოფენაზე ბიზნესკომპანიებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ სოციალური საწარმოების მრავალფეროვან პროდუქციას ერთ სივრცეში; მათი ინტერესების შესაბამისად, მოლაპარაკება ეწარმოებინათ თითოეულ სოციალურ საწარმოსთან სამომავლო თანამშრომლობაზე; B2B გამოფენაზე მონაწილეობდა 44 ბიზნეს კომპანიის 67 წარმომადგენელი და 21 სოციალური საწარმო.

B2B გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კორპორატიული სასაჩუქრე სუვენირები, უსაფრთხო სათამაშოები, ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები, მისალოცი ბარათები, საბავშვო ავეჯი და სათამაშო მოედნები, ხელით დაწნული კალათები, თაფლი, სუნელები, ნატურალური წვენები, ღვინო და სხვა საინტერესო სერვისები, როგორებიცაა მაკულატურის გადამუშავება, კემპინგების ორგანიზება, მუსიკალური თერაპია, ღონისძიებების მომსახურება მუსიკალური ნომრებით და სხვა. ღონისძიებას ყოველწლიური ხასიათი ექნება.

ღონისძიება ჩატარდა ევროკავშირისა და „პური მსოფლიოს“ დაფინანსებული 3–წლიანი პროექტის „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში. ღონისძიების პარტნიორები იყვნენ: „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“, ღონისძიების მასპინძელია „გარდენ ჰოლი“, ოქროს სპონსორი „ფოთის საზღვაო ნავსადგური“, მთავარი პარტნიორი საქართველოს ბანკის ფონდი „სიცოცხლის ხე“, ოქროს სპონსორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“, ვერცხლის სპონსორი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“.

**სოციალური მეწარმეობის ფორუმი 2017**, პროგრამის წლის შემაჯამებელი ღონისძიებაა და მისი მიზანი სოციალური მეწარმეობის ცნების პოპულარიზაციას, თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას და დარგის განვითარებას ემსახურება. ფორუმი 2012 წლიდან ტარდება. აღნიშნულ ღონისძიებაზე ყოველწლიურად ჯილდოვდება - წლის სოციალური საწარმო და წლის Start up სოციალური საწარმო. 2017 წლის ფორუმი 7-8 დეკემბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა. ფორუმის ძირითადი თემები იყო: გასული წლების პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების გაზიარება, ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი სოციალური მეწარმეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის პროცესში და სოციალურ საწარმოთა ალიანსის წევრების ერთობლივი შეკრების უზრუნველყოფა სამომავლო სტრატეგიის შესამუშავებლად.

„სოციალური მეწარმეობის ფორუმი - 2017”-ზე, ტრადიციად ქცეული ნომინაციების ფარგლებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგი მიმართულებით – წლის Start Up სოციალური საწარმო მწვანე საჩუქარი გახდა ხოლო, წლის სოციალური საწარმო - კოდალა.

ფორუმში მონაწილეობას ახლად დაარსებული და უკვე მოქმედი სოციალური საწარმოები იღებდნენ ასევე წარმომადგენლები არასამთავრობო, სამთავრობო და ბიზნეს სექტორებიდან. ღონისძიებაში მონაწილეობა 120 სტუმარმა მიიღო. ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ: ევროკავშირის და „პური მსოფლიოს“ დაფინანსებული 3 წლიანი პროექტი „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის“.

წელს, პირველად ფორუმის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ იმ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით მხარს უჭერენ სოციალური მეწარმეობის განვითარებას საქართველოში. კერძოდ, საქართველოს ბანკს, ჯეოსელს, ფოთის საზღვაო ნავსადგურს, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ -ს და “ბიზნეს მედია საქართველოს”, მათ „იკორთას“ მიერ დამზადებული სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. ფორუმის მთავარი პარტნიორი: საქართველოს ბანკი. მხარდამჭერი მედია: საქმიანი დილა; Georgia Today; Publicity.ge; BusinessPressNews.

# დანართები

1. დანართი №1 – 2017 წლის ფინანსური ანგარიში
2. დანართი №2 – 2017 წელს განხორციელებული პროექტები